



საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

მთავრობის

დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული

1938 წ. 20 სექტემბერი

№ 3

თბილისი

შ ი ნ ა ა რ ს ი

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

8. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ნადირობის წესებისა და ვადების შესახებ.
9. სახელმწიფო ფონდების დამტკიცების შესახებ.
დებულება სახელმწიფო ფონდების შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

8. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ნადირობის წესებისა და ვადების შესახებ. 362

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

საქართველოს სსრ-ში ნადირობისათვის დაწესებულ იქნას ქვემოთდევნილი წესები და ვადები და მათი მოქმედება ვაგროცელებულ იქნას საქართველოს სსრ-ის მთელ ტერიტორიაზე, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ტერიტორიებითურთ.

I. ზოგადი დებულებანი

1. ნადირობად ითვლება თავისუფლად მყოფ გარეულ ნადირთა და ფრინველთა მოპოვება ცეცხლნაროლი იარაღით, ხაფანგით, მახით, ბადით, ძალღებით, მონადირე ფრინველით და კერის სხვა იარაღითა და საშუალებით.
2. ნადირობის უფლება საქართველოს სსრ-ის ყველა სანადირო სანაბებში, — გარდა ნაკრძალების, აღკვეცილებისა და განსაკუთრებული სანადირო სა-

ნახებისა, რომლებიც ასეთებად გამოცხადებულია განსაზღვრული წესისამებრ და სადაც ცხოველთა მოპოვება წარმოებს განსაკუთრებული წესების თანახმად, — ეკუთვნის იმ პირთ, რომელთაც აქვთ სამონადირო სარეწაო კოოპერაციის სისტემის ორგანიზაციების საწევრო წიგნაკები ან სამხედრო-სამონადირო საზოგადოების მოწმობები.

შენიშვნა: ერთიანი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან განთავისუფლებულთა გარდა, ყველა სხვა პირი იხდის ნადირობის უფლებისათვის დადგენილ სახელმწიფო ბაჟს.

3. სამეცნიერო ნადირობა წარმოებს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ დადგენილი განსაკუთრებული წესების თანახმად.

4. წესიერი სანადირო მეურნეობის მოწყობისა, სანადირო სარეწაო ცხოველთა და აგრეთვე სხვა სახის სასარგებლო, ძვირფას ან გადაშენების გზაზე მდგომ ცხოველთა შენარჩუნებისა და გამრავლების მიზნით ყოველი ის პირი, რომელიც ნადირობს, მოვალეა დაიცვას ყველა ქვემოაღნიშნული წესები.

ტყეებში (განსაკუთრებით წიწვიანში) მონადირენი მოვალენი არიან დაიცვან სიფრთხილის ყველა ღონისძიება ხანძრის საშიშროების წინააღმდეგ და არაერთარ შემთხვევაში არ დატოვონ ჩაუმჭრალი ცეცხლი.

5. სამონადირო სარეწაო კოოპერაციის სისტემის ორგანიზაციები და აგრეთვე სამხედრო-სამონადირო საზოგადოებანი მოვალენი არიან მოათავსონ მათ მიერ გაცემულ საწევრო წიგნაკებსა და მოწმობებში, ამა წესების გარდა, აგრეთვე ყველა იმ ნაკრძალის, აღკვეთილის და სხვა სანადირო სანახების ნუსხა, სადაც ნადირობა აკრძალულია, შეზღუდულია ან რეგულირდება განსაკუთრებული წესებით.

II. ნადირობის ხერხები

6. აკრძალულია მთელი წლის განმავლობაში:

ა) ნადირობის მიზნით ღელის და ბალახის წვა, ალის მალლა აგზნება;
ბ) ფრინველთა კვერცხების შეგროვება და სასარგებლო ფრთოსანთა ბუდეების მოშლა;

გ) ქვემოჩამოთვლილ გამონაკლისების გარდა (მუხ. 9), ნადირ-ფრინველთა მასური მოპოვების ხერხთა (ბადე, ფარდა და სხვ.), აგრეთვე გამჭკლეტ და დამაშავებელ სამარჯვთა (ქამანდი, მახე, ხაფანგი, ჩიტების წებო, ორმოების ამოთხრა), საერთო-საშიშ საშუალებათა (მოწამლევა, თოფების დაგუშავება) გამოყენება და უმწეო მდგომარეობაში მყოფ ცხოველთა მოპოვება (მოლიბულზე შერევა, ფრთა-მოყინულ ფრინველთა დაჭერა, მათი ლამით ჭერა ანთებული სინათლით და სხვ.);

დ) მოსავლის აღებადნე ნათესებსა, ბოსტნებსა, ბაღებსა და საკარმიდამო ნაკვეთებზე ნადირობა (პატრონთა ნებადაურთველად);

ე) შემოვლით და ძახილით კურდღლის და ფრთოსნის წრეში გამოვიყენოთ და ისე ნადირობა;

ვ) ავტომატქანიდან, მოტოციკლიდან და ჰაერობლანიდან ნადირობა.

შენიშვნა. ხაფანგებისა და თვითმომქმედ მახეების გამოყენება ნებადართულია მკვნიბელ მხეცეებზე ნადირობის დროს, აგრეთვე გეგმიანი წესით ბეწვიანი ნადირის და გარეულ ნადირთა და ფრინველთა დამზადების შესრულების დროს, მონადირეთა ადგილობრივი კოლექტივის კონტროლის ქვეშ.

7. აკრძალულია ძაღლებით ნადირობა აპრილის 1-დან აგვისტოს 1-მდე (გარდა ტყის ქათამსა (ვალდშენები) და გოქაზე (დუბელი) ნადირობისა).

შენიშვნა. მეძებარი ძაღლების მიტევა უთოფოდ ნებადართულია ნადირობისათვის აკრძალულ დროსაც, ხოლო არა უადრეს ერთი თვისა ნადირობის სეზონის გახსნამდე, იმ ნაკვეთებზე, რომლებიც სპეციალურად მიჩენილია საამისოდ მონადირეთა ადგილობრივი კოლექტივის მიერ.

8. ნადირობის თითო დღეში მონადირეს შეუძლია მოინადიროს ხოხობი არა უმეტეს ხუთი ცალისა, მათ შორის დედალი—არა უმეტეს ორი ცალისა, გნოლი და კაკაბი არა უმეტეს ათი ცალისა (ერთად), ჩლიქიანი ნადირი (გარეული ღორების გარდა) არა უმეტეს ერთი ცალისა.

თუ ნადირობა ერთ დღეზე მეტად გრძელდება, ნანადირევ ფრინველთა რიცხვი შეიძლება გადიდებულ იქნას ერთი ორად.

ერთ მონადირეს მთელი წლის განმავლობაში უფლება აქვს მოინადიროს არა უმეტეს, ვიდრე სამი ცალი ჯიხვი, ნიამორი, ფსიტი (არჩვი) და შველი.

9. ჯგუფებისა და რაზმების (სამხედრო) ნადირობა რკალის შემორტყმით და ხმაურზე გამოდევნით ნებადართულია მარტოოდენ მკვნი მტაცებელ ნადირზე და გარეულ ღორებზე.

შენიშვნა. სანადირო-სარეწაო ფრინველთა ბადით ქერა აკრძალულია.

III. აკრძალული ნადირობა

10. ნადირობა აკრძალულია მთელი წლის განმავლობაში:

- ა) კავკასიის ირმებსა, დანიელებსა და ჯეირნებზე;
- ბ) დედალ და ნუკრ (ერთ წლამდე) ჯიხვებსა, ნიამორებსა და ნუკრ არჩვზე ფსიტი);
- გ) დურაჯსა, ორივე სახეობის თეთრ ყანჩასა, ორივე სახეობის გედებსა;
- დ) ყველა სასარგებლო მტაცებელ ფრინველზე, როგორცაა: კირკიტა, პუსტიელა, ბოლობეჭედა (გარდა ქაობის ბოლობეჭედისა); კაკაჩა (კანუკი) და ყოველგვარი ბუ (გარდა ზარნაშოსი);
- ე) ყველა მგალობელ ფრინველზე (გარდა შაშვისა), კოდალასა და გუგულზე;
- ვ) ყველა ცალკე მფრინავ მტრედზე, გარდა ქედნისა და გვრიტისა.

11. აკრძალულია ნადირობა შემდეგ სანადირო ნაკრძალებსა და აღკვეთილ-
 ლებში:

ლაგოდეხის ნაკრძალში;
 ბორჯომის ნაკრძალში;
 თელავ-ყვარლის სახობზე ნაკრძალში;
 ფოთის აღკვეთილში (წყალში მცურავ გარეულ ფრინველთა დასახამორე-
 ბელი);

გარე-კახეთის სახობზე აღკვეთილში;
 ქალაქ თბილისის მიდამოებში მდებარე 3 შემოღობილ ნაკვეთზე: ორთა-
 ქალის, ფუნიკულერის და ლისის ტბის, საერთო ფართობით 200 ჰექტ.

12. საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, ავტო-
 ნომიური რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს და ავტო-
 ნომიური ოლქის მიწათმოქმედების საოლქო განყოფილებას უფლება აქვთ,
 შუკეთუ აღგილობრივი პირობების გამო საჭირო იქნება, აკრძალონ ან შეამოკ-
 ლონ დროებით ნადირობის ვადები ცალკეული სახეობის სარეწაო ცხოველებზე.

IV. ნებადართული ნადირობის ვადები

13. ნადირობა ნებადართულია შემდეგ ვადებში და შემდეგისახეობის
 შეცვებსა და ფრინველებზე:

ა) ივლისის 30-დან დეკემბრის 1-მდე—როკოსა და შურთხზე;

ბ) აგვისტოს 15-დან აპრილის 1-მდე—მწყერსა, ჩიბუხასა (კოვილო, ბე-
 კასი), პატარა ჩიბუხასა (პარშენი) და სხვა წინტალებზე, ბატებსა, იხვებსა და
 წყლის სხვა ფრინველსა და ყველა სხვა მხეცსა და ფრინველზე, რომლებიც
 ცალკე არ არიან ჩამოთვლილი.

შენიშვნა 1. მამალი მწყერების მოსატყუებელი ძახილით დაქერა ნე-
 ბადართულია მაისის 1-დან ივნისის 1-მდე;

შენიშვნა 2. დასავლეთ საქართველოში კრონშენკზე ნადირობა ნება-
 დართულია ივლისის 10-დან აპრილის 1-მდე;

შენიშვნა 3. ნადირობა ტყის ქათამზე (ვალდშენი) ნებადართულია
 აგვისტოს 15-დან აპრილის 15-მდე, ხოლო გოქაზე (დუბელი) აგვისტოს
 15-დან ივნისის 1-მდე;

გ) აგვისტოს 1-დან დეკემბრის 1-მდე—მამალ ჯიხვებსა, მამალ ნიამო-
 რებსა, მამალ შველსა და არჩვზე (ფსიტი);

შენიშვნა შველზე ნადირობის ნებადართული რაიონები დაწესდება
 საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ბრძანებე-
 ბით;

დ) სექტემბრის 30 დან იანვრის 1-მდე—გარეულ ღორებზე;

ე) სექტემბრის 30 დან თებერვლის 1-მდე—გნოლსა და კაკაბზე;

ვ) ნოემბრის 1-დან დეკემბრის 31-მდე—ხოხობზე.

შენიშვნა. ხოხობზე ნადირობის ნებადართული რაიონები დასავლეთ საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ბრძანებით.

ზ) ნოემბრის 1-დან თებერვლის 1-მდე—კურდღელზე;

შენიშვნა. დასავლეთ საქართველოს და აჭარის ასსრ-ის ჩაის და ციტრუსების რაიონებში ნებადართულია პლანტაციებზე ნადირობა მთელი წლის განმავლობაში კურდღელზე, როგორც მანენებელზე.

თ) ნოემბრის 1-დან აპრილის 1-მდე—წავზე და მაჩვზე;

ი) დეკემბრის 1-დან მარტის 1-მდე—მელაზე და კვერნაზე.

14. საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს უფლება ეძლევა, ადგილობრივი პირობებით გამოწვეულ აუცილებლობის შემთხვევაში დროებით გააგრძელოს მელაზე და კვერნაზე ნადირობის ვადები მთიან რაიონებში, აგრეთვე დააწესოს ნუტრიის მოპოების ვადები, რაიონები და რაოდენობა.

V. ბ რ ძ ო ლ ა მ ა ვ ნ ე ბ ე ლ მ ტ ა ც ე ბ ლ ე ბ თ ა ნ

15. მავნებელ ან მტაცებლად ითვლება:

ა) მხეცები: ჯიქი, გარეული კატები (ტყისა და ლელიანისა), ფოცხვერი, აფთარი, მგელი, ტურა, დათვი და აგრეთვე მოხეტიალე კატები და ძაღლები;

ბ) ფრინველები: მიმინო, ქორი, თეთრკულა არწივი, ჭაობის ბოლობეჭედა, ზარნაშო, კაჭკაჭი, ჩვამა და აგრეთვე კვირიონი (მელღვია), ლაჟო და ბელურა.

16. მავნებელ ან მტაცებელ ნადირ-ფრინველთა გაწყვეტა მთელი წლის განმავლობაში ნებადართულია ყველა ხერხით, გარდა საერთო საშიშ საშუალებებისა.

შენიშვნა. ნადირობის აკრძალვის დროის განმავლობაში (აპრილის 1-დან აგვისტოს 1-მდე) მტაცებლის გაწყვეტა თოფით ნებადართულია მხოლოდ ორგანიზებული წესით სამონადირო ორგანიზაციების ხელმძღვანელობით.

17. ბაღების, ბოსტნებისა და ნათესების პატრონთ ნება ეძლევათ გაწყვიტონ ხოლმე მთელი წლის განმავლობაში თავის ნაკვეთებზე ყველა საშუალებით (გარდა მოწამელისა) სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნე მხეცები (მაჩვი, კურდღელი და სხვა).

18. მონადირეთა კოლექტივებს და ცალკე მონადირეებს ეკისრებათ ყოველგვარი ბრძოლა მტაცებლებთან, პირველ ყოვლისა მგლებსა და ტურებთან.

VI. გ ა რ ე უ ლ ი ც ხ ო ვ ე ლ ე ბ ი ს ც ო ც ხ ლ ა დ და ქ ე რ ა

19. გარეული ცხოველების ცოცხლად დაჭერა შეიძლება მხოლოდ საქართველოს სსრ-ის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ნებადართვით. ასეთი დაჭერისათვის არსებული განსაკუთრებული წესების თანახმად.

VII. ნადირობის პროდუქციით ვაჭრობის აკრძალვა

20. აკრძალულია:

ა) შემდეგი სახეობის ნანადირევის გაყიდვა: ჯიხვის, ფსიტის (არჩვი) შელის, ჯეირნის, ხობხის, ვნოლისა და კაკბისა, იმ ნანადირევის გარდა, რაც შემოიზიდულია ისეთი ადგილიდან, სადაც ასეთი ნანადირევის ვაჭრობა ნებადართულია;

ბ) ნანადირევის ყიდვა, გაყიდვა და გადაზიდვა ხუთი დღის შემდეგ დღიდან ნადირობის აკრძალვისა აღნიშნულ ნადირზე ან ფრინველზე.

VIII. ზედამხედველობა ნადირობის წესებისა და ვადების დაცვისათვის

21. ზედამხედველობა ნადირობის წესების და ვადების შესრულებისათვის და სანადირო-სარეწაო ფაუნის და სანადირო სანახების დაცვისათვის ეკისრებათ: საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა და ავტონომიური რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების სახელმწიფო სამონადირო ინსპექციას და მის ადგილობრივ ორგანოებს, სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებებს, სასოფლო საბჭოებს და მათ რწმუნებულებს ნადირობისათვის, სატყეო ადმინისტრაციას და სამცველოს, მილიციას, სასოფლო აღმასრულებლებს და მილიციის დამხმარე ბრიგადებს, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლექტიური მეურნეობების რწმუნებულებს ნადირობისათვის, სამონადირო სარეწაო კოოპერაციის სისტემის ორგანიზაციებს და მათ რწმუნებულებს.

22. 21 მუხლში აღნიშნული პირების პირველ მოთხოვნისამებრ ყოველი მონადირე ვალდებულია დაუყოვნებლივ წარუდგინოს მათ თავისი დოკუმენტები ნადირობის უფლების შესახებ და სანადირო ჩანთა ნანადირევის გასასინჯავად.

23. ნადირობის ამა წესების დარღვევა გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 89 მუხლის 1 ნაწილისა და 108¹ მუხლის თანახმად.

24. ნადირობის წესების დარღვევის აღმოჩენისას, ის პირი, რომელსაც ეკისრება ზედამხედველობა ამ წესების შესრულებისათვის (მუხ. 21), მოვალეა: ა) გამოარკვიოს დამრღვევთა პიროვნება, ბ) ჩამოართვას მათ იარაღი, ქერის ხელსაწყო და უკანონო ნადირობის პროდუქცია, გ) შეადგინოს ოქმი წესების დამრღვევთა პასუხისმგებლობაში მისაცემად სისხლის სამართლის წესით.

25. ოქმი ნადირობის წესების დარღვევის შესახებ გადაეცემა სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებას, რომელიც წარმართავს მას სათანადოდ და აღნუსხავს ყველა მიღებულ ოქმს.

26. ნადირობის წესების დამრღვევისათვის ჩამორთმეული უკანონო ნადირობის პროდუქცია გაყიდულ უნდა იქნას სახელმწიფო ან კოოპერაციული ორ-

განიზაციების მეშვეობით, ხოლო თუ დაყოვნება არ შეიძლება, თვით უშუალოდ ოქმის შემდგენელის მიერ, რაზედაც შეიძლება აქტი ორი მოწმის მონაწილეობით.

27. ჩამორთმეული სანადირო იარაღის, კერის ხელსაწყოს და უკანონო ნადირობის პროდუქციის გაყიდვით მიღებული თანხის 50% მიიქცევა ადგილობრივ ბიუჯეტში, ხოლო 50% იმ პირთათვის გასამრჯელოს მისაცემად, რომელთაც აღმოაჩინეს ნადირობის წესების დარღვევა.

დარღვევის აღმოჩენათვის მისაცემი გასამრჯელოს ანგარიშს შეადგენს სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილება.

28. საზოგადოებრივი სარგებლობის გზის გარეშე ყოფნა თოფით, საჭერი იარაღით, სანადირო ძაღლებით და სხვა მისთ. ნადირობას ეთანაბრება.

IX. სანადირო იარაღი

29. სანადირო ცეცხლსასროლ იარაღად ითვლება ისეთი იარაღი, რომელსაც აქვს სპეციალური სანადირო დანიშნულება და არ არის არმიის შესაიარაღებლად; ასეთი იარაღია საფანტის თოფი, ბიუქსფლინტი, სამულლიანი, პარადოქსი, შტუცერი და სპეციალური სანადირო შაშხანა.

30. შტუცერების, სანადირო ღარიანი შაშხანების შენახვა-ტარებაზე ნებართვას იძლევიან მუშათა და გლეხთა მილიციის ორგანოები.

სადალუღიან სანადირო თოფის და ერთი სანადირო დანის ან ხანჯლის ტარებისა და შენახვისათვის საჭირო არ არის განსაკუთრებული ნებართვა, უკეთეს ისინი შეტანილი არიან მონადირეთა კოოპერაციის საწევრო წიგნაკში ან სამხედრო-სამონადირო საზოგადოების მოწმობაში.

X.

31. ამა დადგენილების გამოცემასთან ერთად უქმდება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წლ. 3 ნოემბრის დადგენილება „საქართველოს სსრ-ში ნადირობის წარმოების წესებისა და ვადების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრებ. № 29, მუხ. 174).

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. გ. ხატურა.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ.დ.ა. რ. ჭელიძე.

1938 წ. ივლისის 17. № 1070.

თბილისი.

/4/

9. სახელმწიფო ფონდების დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ წარმოდგენილი დებულება სახელმწიფო ფონდების შესახებ და შემოღებულ იქნას სამოქმედოდ 1938 წლის 1 იანვრიდან.

2. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს გამოსცეს ინსტრუქცია ამა დადგენილების 1 მუხლში აღნიშნული დებულების შეფარდებისათვის.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე გ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ.დ.ა. რ. ჰელიძე.

1938 წ. ივლისის 22. № 1136.

თბილისი.

დებულება სახელმწიფო ფონდების შესახებ.

1. სახელმწიფო ფონდებს, რომელთა აღრიცხვა და რეალიზაცია ევალება საფინანსო ორგანოებს, მიეკუთვნება:

ა) ქონება, რომელიც მიღებული წესისამებრ ბეითალმანად და უპატრონოდ არის ცნობილი (საქ. სსრ სამოქალაქო კოდექსის 68 და 432 მუხლები);

ბ) რელიგიურ საზოგადოებათა საკულტო ნაგებობანი და საკულტო ქონება, მათ მიერ გამოუყენებელი ან გამოყენებული საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის პირველი მუხლის დარღვევით, აგრეთვე ისეთ რელიგიურ საზოგადოებათა საკულტო ნაგებობანი და საკულტო ქონება, რომლებიც დახურულ იქნენ თანახმად საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1924 წლის 21 ნოემბრის დადგენილებისა „ეკლესიების გახსნისა და რელიგიურ საზოგადოებათა რეგისტრაციის წესის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. № 6, მუხ. 39);

გ) სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ ლიკვიდირებულ დაწესებულებათა ქონება, აგრეთვე ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა უფარვისი და ისეთი ქონება, რომელიც საპირო აღარ არის;

დ) ადგილობრივი მნიშვნელობის სამეურნეო ანგარიშზე მყოფ ისეთ სალიკვიდაციოდ მიქცეულ საწარმოთა და ორგანიზაციათა ქონება და სასაქონლო-ხატერიალური ფასეულობანი, რომლებიც არ შედიან ტრესტებისა ან სხვა გაერთიანებათა შემადგენლობაში;

ე) მუზეუმების ისეთი ქონება, რომელსაც არა აქვს სამუზეუმო მნიშვნელობა.

შენიშვნა: სახელმწიფო ფონდების შემადგენლობაში შემაველ, ამა დადგენილების პირველი მუხლის „ბ“ პუნქტში აღნიშნულ შენობათა და



ნაგებობათა გადაცემა სწარმოებს იმ წესით, რაც დადგენილია სსრკ-ის შირის სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წლის 15 თებერვლის დადგენილებით „სახელმწიფო საწარმოთა, შენობათა და ნაგებობათა გადაცემის წესის შესახებ“. (სსრკ კან. კრ. 1936 წ. № 11, მუხ. 93).

2. სახელმწიფო ფონდების რეალიზაციით მიღებული თანხები, გარდა ამა დადგენილების მე-9 მუხლში აღნიშნულ თანხებისა, ჩაირიცხება სათანადო ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავალში.

შენიშვნა: 60% ამა დებულების 1 მუხ. „ე“ პუნქტში აღნიშნული ქონების რეალიზაციით მიღებული თანხებისა ჩაირიცხება სათანადო მუხეუმების სპეციალურ სახსრებში.

3. მუშაობა სახელმწიფო ფონდების აღრიცხვისა და რეალიზაციის დარგში ეკისრება საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს და ადგილობრივ საფინანსო ორგანოებს, რისთვისაც ნება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს დააწესოს ცენტრში ერთი საშტატო ერთეული.

4. საფინანსო ორგანოებს ეკისრება:

- ა) სახელმწიფო ფონდების გამოვლინება;
- ბ) სახელმწიფო ფონდების აღრიცხვა და
- გ) სახელმწიფო ფონდების რეალიზაცია.

5. მათზე დაკისრებულ მოვალეობათა განსახორციელებლად, საფინანსო ორგანოებს უფლება ეძლევათ აიღონ აღრიცხვაზე, აგრეთვე ჩამოართვან და მიაქციონ უღაო წესით გადახდევინება—გადასახადთა და არასავადსახადო გადასახდელთა გადახდევინების დებულებით გათვალისწინებული წესისამებრ (სსრკ კან. კრ. 1932 წ. № 69, მუხ. 410),—იმ ქონებაზე, რაც სახელმწიფო ფონდად იქნება ცნობილი და აგრეთვე ამ ქონების რეალიზაციით მიღებულ თანხებზე.

6. აღრიცხვაზე აღებული სახელმწიფო ფონდები იმყოფება საფინანსო ორგანოების განკარგულებაში და მათი რეალიზაცია ხდება საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ დადგენილი წესისამებრ.

7. საფინანსო ორგანოების მოთხოვნილებანი, წარდგენილი მათ მიერ სახელმწიფო ფონდების აღრიცხვისა და რეალიზაციის დარგში მათზე დაკისრებულ მოვალეობათა შესრულების წესისამებრ, უღაოა და საარბიტრაჟო და სასამართლო ორგანოებში არ განიხილება.

8. ადგილობრივი საფინანსო ორგანოების განკარგულებანი ადგილობრივი მნიშვნელობის დაწესებულებებსა და საწარმოებში გამოვლინებულ სახელმწიფო ფონდების აღრიცხვისა და რეალიზაციის დარგში, შეიძლება განსაჩივრებულ იქნან დაინტერესებულ საწარმოთა ან პირთა მიერ სათანადო აღმასრულებელ კომიტეტში, ხოლო განკარგულებანი, რომლებიც დანარჩენ ფონდებს შეეხებიან—საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატში—ორივე შემთხვევაში 15 დღის ვადაში.

ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის განკარგულებანი შეიძლება განსაჩივრებულ იქნას დაინტერესებულ დაწესებულების ან პირის მიერ ზემდგომ

აღმასრულებელ კომიტეტებში, ხოლო საქართველოს სსრ ფინანსთა კომისარიატის განკარგულებანი—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოში—ორივე შემთხვევაში 15 დღის ვადაში.

9. სახელმწიფო ფონდების გამოვლინების, აღრიცხვისა და რეალიზაციის საორგანიზაციო და ოპერატიული ხარჯები უნდა დაიფაროს საფინანსო ორგანოების განკარგულებაში გადაცემული, სახელმწიფო ფონდების რეალიზაციით მიღებული, თანხების ანარიცხების ანგარიშში. რაოდენობა ამ ანარიცხებისა წესდება საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ, ხოლო არ უნდა აღემატებოდეს 4% საშუალოდ საქართველოს სსრ-ში.

აღნიშნულ ანარიცხებიდან საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის განკარგულებაში გადაიცემა 1%, რომელი თანხიდანაც აფხაზეთის და აჭარის ასსრ-ში და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში 50% გადაიცემა ავტონომიურ რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატების და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო საფინანსო განყოფილების განკარგულებაში.

10. საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის და ადგილობრივ საფინანსო ორგანოების განკარგულებაში შემოსული პროცენტული ანარიცხები ჩაირიცხება საფინანსო ორგანოების ადგილობრივ სახსრებში და შეიძლება დახარჯულ იქნას, სახელმწიფო ფონდების გამოვლინებისა, აღრიცხვისა და რეალიზაციის საოპერაციო და საორგანიზაციო ხარჯების დაფარვის შემდეგ, საფინანსო აპარატის მუშაკთა სოც.-ყოფაცხოვრებითი მომსახურების ღონისძიებებზე.

გამომცემლობა: საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო.

უნდა ჩაბარდეს პირველ რიგში
ხელწერილის ქვეშ.

მისამართისათვის

ფასი 25 კპ.

საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სტამბა

მთავლ. № ბ-1160

შეკვ. № 1211

ტირაჟი 2000